ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

30 დეკემბერი, 2019 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 14 წევრი: გიორგი ივანიაძე, სალომე ფახურიძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაიძე, მარინა ღვინიანიძე, ნატო დვალიშვილი, გელა ჩიკვაიძე, თამარ ძნელაძე, ნიკოლოზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, თამარ შენგელია, თამაზი თავაძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, ნანა ლილუაშვილი.

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, გონერი მეფარიშვილი, ივანე მამფორია, თამთა დვალიშვილი, გვანცა სიგუა, ნათია ძოძუაშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;

მომხს: /სალომე ფახურიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2020-2021 განხილვა;

მომხს: /სალომე ფახურიძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების განხილვა გენდერულ ჭრილში.

მომხს: /სალომე ფახურიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ საბჭოს წარუდგინა ანგარიში ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა „გენდერული საბჭოს საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლა იმ მნიშველოვანი ღონისძიებებით, რომელიც უკავშირდებოდა ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური ძალადობის წინაარმდეგ ბრძოლის კამპანიებს, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებს, სადაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ვანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეების ჩართულობა, აღნიშნულმა აქტივობამ პრობლემის გაშუქების თვალსაზრისით ეფექტურ შედეგი გამოიღო. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო 8 მარტს-ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი

ღონისძიება, სადაც მოწვეულები იყვნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილი ქალბატონები, ღონისძიებამ იმდენად გაამართლა ქალბატონების წარმოჩენის თვალსაზრის ვფიქრობ ტრადიციული სახე უნდა მიეცეს და მომავალში უფრო ვცელ და მრავალფეროვან ფორმატში უნდა იყოს წარმოდგენილი, რათა გამოვლინდნენ ადგილობრივი სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონები.

მომხსენებელმა იმ მნიშვნელოვან მიღწევას გაუსვა ხასი, რომელიც შეეხო ვანის საჭადრაკო სკოლისთვის ნინო ხურციძის სახელის მინიჭებას და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ისტორიაში და გენდერული საბჭოს მოღვაწეობის პერიოდში ეს იყო უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტი, როცა ვანის საჭადრაკო სკოლას, რომლის აღდგენა ადგილობრივების დიდი ხნის ოცნება იყო, გენდერული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე წარმატებული მოჭადრაკის-ნინო ხურციძის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელი ეწოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გენდერულ საკითხებზე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაგეგმილი შეხვედრები, სადაც სხვადასხვა რაიონებისგან მოსმენილი წარმატებული მიღწევები ამ მიმართულებით მომავალში მნიშველოვანი გამოწვევების დაძლევის კუთხით განსაკუთრებულ გამოცდილებას იძლევა, შესაბამისად უნდა დაიგეგმოს პერმანენტული შეხედრები სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან და გაძლიერდეს მჭიდრო თანამშრომლობა შესაბამის ორგანიზაციებთან, რაც მნიშვნელოვანია გამოცდილების მიღების კუთხით.

საბჭომ განიხილა პირველი საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2018-2019 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა;

2.***მოისმინეს:*** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა-სალომე ფახურიძემ წარმოადგინა და განიხილა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო

აგგმა 2020-2021, მან ისაუბრა სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების პერიოდულობაზე, „მოგეხსენებათ კვლავ აქტუალურია და მთავარ გამოწვევად რჩება გენდერული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ეს პროცესი კი შეუქცევადია და გრძელვადიან მუშაობას ეფუძნება, სადაც ჩართული უნდა იყოს საბჭოს თითოეული წევრი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გათავისებითა და გუნდურ მუშაობაზე დაყრდნობით. იმისთვის, რომ საბჭოს მუშაობა შედეგზე იყოს ორიენტირებული და შესაბამის რეზულტატი აჩვენოს აუცილებელია მემორანდუმის გაფორმება კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან", რათა მათი მხარადჭერითა და თანადგომით მივაღწიოთ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების განხორციელებას.

/დანართი: N2/

აზრი გამოთქვა: გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრმა-ნატო დვალიშვილმა, აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბჭოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში ახალგაზრდების, მოსწავლეების ჩართულობა, უნდა შეიქმნას ახალგაზრდული გაერთიანებები, რომელიც წარმატებულ და აქტიურ ახალაგაზრდებს გააერთიანებს, მოგეხსენებათ რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, შესაბამისად ჩვენ უნდა ვეცადოთ მათი შესაძლებლობების წამოჩენას ფართო ასპარეზი მივცეთ და ხელი შევუწყოთ მათ რეალიზებას და მათში მაღალი სამოქალაქო აქტივიზმის ჩამოყალიბებას. ზოგადად საბჭოს საქმიანობა შემოქმედებითად გაშლილი უნდა იყოს უნდა ემყარებოდეს საზოგადოების სხვადასხვა ინტერესების გატარებას.

მომხსენებელმა-სალომე ფახურიძემ აღნიშნა, რომ „ახალ სამოქმედო გეგმაში 5.2.2. პუნქტის მიხედვით "საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმის (2015-2020 წ.წ.)" დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მარტის N349 განკარგულების შესაბამისად რეკომენდაციების მომზადება ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ახალგაზრდული სათათბიროების ამოქმედების შესახებ. მინდა გაცნობოთ, რომ უახლოეს მომავალში აუცილებლად ჩამოყალიბდება ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ანალოგიური იქნება და იმიტირებული არჩევნების გზით ჩამოყალიბდება. ახალგაზრდული საკრებულო გააერთიანებს მე-3 საფეხურის მოსწავლეებს, რომლებიც აქტიურად იქნებიან ჩართულები გენდერული საბჭოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში.

საბჭომ განიხილა მეორე საკითხი და კენჭი უყარა.

მომხრე -14

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა 2020-2021 განხილვა;

3. *მოისმინეს:* დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მაია ჯულაყიძემ (მიხეილ სვანაძის არყოფნის გამო) წარმოადგინა დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების შესახებ". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა ცვლილები რამდენიმე პროგრამაში კერძოდ:

2019 წელს მოქმედი 16 პროგრამის ნაცვლად დარჩა 14 პროგრამა. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმით, რომ „საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისა და საბრძოლო მოქმედებების მონაწილე, სოციალურად დაუცველ ვეტერანთა დახმარების პროგრამა" და „მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისა და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა დახმარების პროგრამა" გაერთიანდა „ვეტერანთა დახმარების პროგრამად", ხოლო „მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა" და „ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა" გაერთიანდა „შშმ პირების დახმარების პროგრამაში".

„სამედიცინო დახმარების პროგრამაში" შევიდა ცვლილება: სავალდებულოა ბენეფიციარი, დახმარების მოთხოვნამდე ბოლო 60 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასევე თუ სამედიცინო დაწესებულებაში ბენეფიციარის მიერ ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 5000 ლარს, დახმარების ოდენობა განისაზღვრება 1000 ლარს დამატებული 5000 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის 10 % - ით, არაუმეტეს 2000 ლარისა.

,,მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის"-ში შევიდა შემდეგი ცვლილება: პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის

ადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია ბენეფიციარებზე ან სოციალურად დაუცველ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცეს საკვები პროდუქტები.

„ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამას" დაემატა ერთი პუნქტი სავალდებულოა ახალშობილი დაბადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღიდან განცხადების შემოტანამდე ან განცხადების შემოტანამდე ბოლო 180 დღის განმავლობაში უწყვეტად იყოს რეგისტრირებული ვანის მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ), 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერად ფინანსური დახმარებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ბ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად - 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

გ) არომატული ამინომჟავების მეტაბოლიზმის დარღვევებით (ფენილკეტონურია და სხვა ჰიპერფენილალანინემიები) დაავადებული, 18 წლამდე ასაკის ბავშვების ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამის მიზანია:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულებისა (რაიონიდან სამედიცინო დაწესებულებამდე) და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად ფინანსური დახმარება რაც იტვალისწინებს მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძებად ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ანაზღაურებას.

სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ის ოჯახები (პირები), რომლებსაც დაუზიანდათ ერთადერთი საცხოვრებელი სახლი (ბინა), სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი არ გააჩნიათ.

ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცემა ერთჯერადად. დახმარების ოდენობა განისაზღვრება ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარის, ხოლო სხვა სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით. დახმარების ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 მარტის N 20 370 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისია.

სტუდენტთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს დახმარების გაწევას ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო ერთი წლის მანძილზე უწყვეტად რეგისტრირებულ, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლების სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-100000-მდე სარეიტინგო ქულა. ბენეფიციარებზე გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა დღეგრძელისთვის (100 და მეტი წლის ხანდაზმულთათვის) დაბადების დღის მისალოცად ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას ბენეფიციართათვის 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის მიზანია მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა ბენეფიციარის სტატუსის მქონე პირთათვის უფასო სასადილოთი მომსახურება. დახმარება პროგრამაში ჩართულ ყოველ ბენეფიციარზე გაიცემა დღეში ერთჯერადი კვების სახით, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მენიუს შესაბამისად;

პროგრამისთვის გამოყოფილი ფინანსური ასიგნებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სადღესასწაულო დღეებში შესაძლებელია ბენეფიციარებზე ან სოციალურად დაუცველ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე სხვა პირებზე საჩუქრად გაიცეს საკვები პროდუქტები;

ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამის მიზანი: ახალშობილთა ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა და დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების სტიმულირება.

ა) პირველ შვილზე 300 (სამასი) ლარი, მეორე შვილზე 350 (სამასორმოცდაათი) ლარი, მესამე შვილზე 400 (ოთხასი) ლარი, მეოთხე და ყოველ მომდევნო შვილზე 500 (ხუთასი) ლარი;

ბ) ტყუპების შემთხვევაში, თითოეულ ბავშვზე 500 (ხუთასი) ლარი; გ) თუ ახალშობილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა 1-დან 70000-მდეა, ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული დახმარების ოდენობა გაიზრდება 20 (ოცი) %-ით.

ა) დახმარება მიეცემა ახალშობილის დედას ან მამას. დედის და მამის მიერ დახმარების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, დახმარება მიეცემა ერთ-ერთი მათგანის მიერ უფლებამოსილ პირს ან ახალშობილის ოჯახის კანონიერ წარმომადგენელს;

ბ) დახმარება გაიცემა ახალშობილის ოჯახზე ერთჯერადად, ბავშვის ერთი წლის ასაკის შესრულებამდე;

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად მოქალაქეზე (მსხვერპლზე), რომლის უფლებები დაირღვა და სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა - მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევას 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწევათ დამარჩენალდაკარგულ პირთა დახმარების პროგრამით ისარგებლებენ მარჩენალ დაკარგულთა შემდეგი კატეგორიები:

ა) სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000-მდე სარეიტინგო ქულა ერთ ბენეფიციარზე - 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

ბ) მარჩენალდაკარგული პირები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს ერთ ბენეფიციარზე - 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.;

გ) დედ-მამით ობლები, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს ერთ ბენეფიციარზე - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა ითვალისწინებს იმ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარების გაწევას, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი თითოეულ არასრულწლოვან შვილზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

სამედიცინო დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ის პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 150000-ის ჩათვლით.

უსახლკაროთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი“-ს საფუძველზე რეგისტრირებული პირების/ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფას.

ა) საცხოვრებელი ფართის/ბინის მოძიების ვალდებულება ეკისრება ბენეფიციარს, რომელიც მესაკუთრესთან/მოსარგებლესთან გაფორმებულ ხელშეკრულებას წარუდგენს სამსახურს.

ბ) ბინის ქირის ოდენობა, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, განისაზღვრება შემდეგნაირად:

ბ.ა) ქ. ვანის ტერიტორიაზე - არაუმეტეს 100 (ასი) ლარი თვეში;

ბ.ბ) მთისძირის, შუამთის, ტობანიერის, ციხესულორის, ზედავანის, სალხინოს, დიხაშხოს, ბზვანის, ამაღლების, ზეინდრის, გორას ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 80 (ოთხმოცი) ლარი თვეში;

ბ.გ) ყუმურის, მუქედის, გადიდის, სულორის, ძულუხის, საპრასიის, ფერეთას, სალომინაოს, უხუთის ადმინისტრაციულ ერთეულებში - არაუმეტეს 60 (სამოცი) ლარი თვეში;

აზრი გამოთქვა:გენდერული საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ „აღნიშნა, რომ სოციალური პროგრამების ზოგადად პროგრამების მოქნილობის, ეფექტურობის მიზნით და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგების მიზნით აუცილებელია პირველ შემთხვევაში ადგილობრივ დონეზე პრობლემის იდენტიფიცირება, ამისთვის საწყის ეტაპზე უნდა განხორციელდეს კვლევა, სოფლების პასპორტიზაცია აღნიშნულ პროცესში კი თანაბრად უნდა იყოს ჩართული ყველა კომპეტენტური პირი. პროგრამების შესაბამის ბენეფიციარებზე მორგება და მიზნობრივი განხორციელება კი წარმოუდგენელია ინფორმირებულობის გაზრდიის გარეშე. შესაბამისად საბჭოს მუშაობის ამოსავალ წერტილს უნდა წარმოადგენდეს კვლევა და ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენა, რასაც დაეთანხმა საბჭო.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე ----------

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე ----------

30.12.2019 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების

N9 სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		30. 12. 2019 წ.
2	გიორგი ივანიაძე		
3	ეთერი ჭიჭინაძე		
4	თამარ შენგელია		
5	თამარ დვალიშვილი		
6	ნიკოლოზ დვალიშვილი		
7	გონერი მეფარიშვილი		
8	მარინა ღვინიანიძე		
9	ნათია ძოძუაშვილი		
10	გელა ჩიკვაიძე		
11	სალომე ფახურიძე		
12	თამარ ძნელაძე		
13	მამუკა ნამიჭეიშვილი		
14	მიხეილ სვანაძე		
15	გვანცა სიგუა		
16	თამაზი თავაძე		
17	ივანე მამფორია		
18	ლელა ჩიკვაიძე		

19	ტარიელ ზარამიძე		
20	ნანა ლილუაშვილი		
21	აპოლონ რამიშვილი		
22	ნატო დვალიშვილი		